პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 14 (19456) ◆ პარასკევი, 17 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მეცნიერებისა და კულტურის მებრძოლ მოღვაწეთა კონგრესის მონაწილეებს

მოგესალმებით პლანეტის მშვიდობიანი მომავლის დაცვისათვის მებრძოლ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესის მონაწილეებს.

თქვენი კონგრესი თითქოს იწყებს მნიშვნელოვანი აქციების კალენდარს, რომლებითაც, უეჭველია, აღსავსე იქნება 1986 წელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის საერთაშორისო წლად რომ გამოაცხადა. ნიშანდობლივია, რომ თქვენ შეიკრიბეთ ვარშავაში — ქალაქში, რომლის წარსული მოგვაგონებს განვლილი ომის საშინელებას და რომლის თანამედროვე სახე სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის აღმშენებლობისა და მშვიდობისადმი უძლეველ მისწრაფებას.

დღეს კაცობრიობის წინაშე დგას ბევრი რთული და ძნელი პრობლემა — ეროვნულიც, რეგიონალურიც, გლობალურიც. მაგრამ მათ შორის ყველაზე გადაუდებელია ამოცანა თავიდან ავიცილოთ ბირთვული საშიშროება, შეეჩეროთ მათ გამაღვიძები შეიარაღება დედამიწაზე, არ დაეშვათ მისი კოსმოსში გავრცელება, დავიცვათ ცივილიზაცია.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ქონევის შეხვედრამ წარმოშვა საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების, საყოველთაო უშიშროების განმტკიცების იმედები, მაგრამ იმისათვის, რომ ეს იმედები ნამდვილად გამართლდეს, ორივე მხარემ პატიოსნად უნდა შეასრულოს მიღწეული მორიგებანი. ქონევის პროცესი უნდა განვითარდეს და განსაზღვროს მოვლენათა შემდგომი მიმდინარეობა მსოფლიოში — ამას მოითხოვენ ხალხები და ეს მართლაც საჭიროა.

შემიძლია კონგრესის მონაწილეებს აღვუთქვა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა ალაგმოს გამაღაბული შეიარაღება, შეწყვიტოს იგი დედამიწაზე და არ დაუშვას მისი გავრცელება კოსმოსში. ამას ითვალისწინებს ჩვენი შორს გამიზნული ღონისძიებები, ჩანაფიქრები და წინადადებები, რომლებიც შეესაბამება მთელი კაცობრიობის შემდგომი პროგრესის ინტერესებს. ჩვენი არჩევანი სამხედრო მეტოქეობა კი არა, ყოვლისმომცველი საერთაშორისო თანამშრომლობაა ყველა დარგში, მათ შორის მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

ესწრაფვის რა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საერთაშორისო ვითარების ძირეულ გაუმჯობესებას, ბირთვული კატასტროფის თუ მასობრივი მოსპობის სხვა ბარბაროსულ სახეობათა იარაღის გამოყენების შესაძლებლობის გამო შიშისაგან კაცობრიობის ერთხელ და სამუდამოდ ხსნას, საბჭოთა კავშირმა ეს-ეს არის წამოაყენა ისტორიული მნიშვნელობის სამშვიდობო ინიციატივა, რომლითაც მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს, სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს, მსოფლიოს ყველა მთავრობასა და ხალხს.

ჩვენ წინადადებას ვაყენებთ, რომ შეეთანხმდეთ უახლოესი 15 წლის განმავლობაში, XX საუკუნის დამლევამდე მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული მოსპობის პროგრამის მიღების თაობაზე, ვსახავთ ამ მიზნის მისაღწევი ეტაპობრივი პრაქტიკული ნაბიჯების კონკრეტულ გეგმას, და ვითვალისწინებთ მკაცრ საერთაშორისო კონტროლს მათი შესრულებისადმი. დარწმუნებული ვართ, რომ ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ უარს ვიტყვით კოსმოსში დამკვრელი იარაღის შექმნაზე. ატომი — მხოლოდ მშვიდობისათვის, კოსმოსი—მხოლოდ მშვიდობისათვის — ასეთია ჩვენი პროგრამა.

ჩვენ წინადადებას ვაყენებთ აგრეთვე, ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნეში მოვსპოთ მთლიანად ქიმიური იარაღი, მისი მარაგი და მისი დამზადების სამრეწველო ბაზა — ესეც მკაცრი კონტროლით, მათ შორის ადგილებზე საერთაშორისო შემოწმებით.

წინადადებას ვაყენებთ, რომ აიკრძალოს ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული და ისეთი არაბირთვული იარაღის შექმნა, რომელიც თავისი დამზიანებელი უნარით უახლოვდება მასობრივი მოსპობის ბირთვულ და სხვა სახეობათა იარაღს.

და ბოლოს, შესაძლებლად მიგვაჩნია აგვეთვე, მიფაღწიოთ რეალურ მორიგებებს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ — ვენის მოლაპარაკებაზე და ძალის გამოუყენებლობის, ურთიერთდობის განმტკიცების შესახებ — სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

თავისი განზრახვის სერიოზულობისა და გულწრფელობის, იმისათვის მზადყოფნის კიდევ ერთ დასტურად, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავიდეთ მშვიდობის განმტკიცებისა და ბირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის პრაქტიკულ საქმეებზე, სსრ კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, კიდევ სამი თვით გააგრძელოს მის მიერ გამოცხადებული ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმი და მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, შემდეგ კი სხვა ბირთვულ სახელმწიფოებსაც, შეუერთდნენ მას.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი სახავს იმ მიზნის მიღწევის კონკრეტულ პროგრამას, რომელსაც თქვენი კონგრესი ეძღვნება, — ეს არის პლანეტის მშვიდობიანი მომავლის დაცვა. და ჩვენ მოვუწოდებთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებს მხარი დაუჭირონ ამ პროგრამას.

დარწმუნებული ვართ: კაცობრიობის ინტელექტუალური პოტენციალი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა გამრავლებას, და არა გლობალური მოსპობის ახალ საეხეობათა მომაკვდინებელი იარაღის შექმნას. „ვარსკვლავეთის ომების“ სამზადისი კი არა, არამედ სახელმწიფოებისა და ხალხების მშვიდობიანი ურთიერთმოქმედება — ასე გვესმის ჩვენ კაცობრიობის მიდგომა კოსმოსის საკითხისადმი. მშვიდობიანი კოსმოსი ადამიანთა ცხოვრებიდან ომის საშიშროების გამორიცხვის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია.

მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღია მართალი სიტყვა, სიმართლე ბირთვული კონფლიქტის მძიმე შედეგების შესახებ, თუ იგი თავიდან ვერ ავიცილეთ. თქვენი კონგრესის მონაწილეებს, მეცნიერებისა და კულტურის სამყაროს ავტორიტეტიან წარმომადგენლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამ სიმართლის გავრცელებაში, იმაში, რომ საზოგადოებრიობის ფართო ფენებმა შეიგნონ თავიანთი ჰუმანური მოვალეობა — ნამდვილად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის საჭიროება.

ვუსურვებ თქვენს კონგრესს წარმატებებს ყველასათვის საერთო და მთავარი მიზნის — ქვეყნად მყარი მშვიდობის გამარჯვებისათვის მუშაობაში.

მ. გორბაჩოვი.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲗ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ!

მხურვალედ იწონებენ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

საქართველოს კომუნისტთა, ყველა მშრომელის უფროსდღეების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება, რომელშიც ლაპარაკია ჩვენი პარტიისა და მთავრობის ახალ დიდ, პრინციპული ხასიათის საგარეო-პოლიტიკურ აქციებზე. ყველგან ამბობენ მიტინგები და კრებები, რომლებზეც რეპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე და თანამიმდევრულ კურსს, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეკვეცა დედამიწაზე და მისი თავიდან აცილება კოსმოსში. ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამკვრელური, თავდადებული შრომით კიდევ უფრო გაძლიერონ სამშობლო, ყოველი ღონე იხმარონ ჩვენს პლანეტაზე მოწმენდილი ცის უზრუნველყოფისათვის.

● თბილისი. საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქრო. „ვგმობთ გამალებულ შეიარაღებას!“, „არ გვინდა ომი!“, „მშვიდობა — მსოფლიოს!“ — წარწერილია ტრანსპარანტებზე, რომლებითაც აქ სადილობის შესვენების დროს მოვიდნენ საწარმოს ყველა საამქროს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი.

მიტინგი გახსნა გაერთიანების პარტკომის მდივანმა გიზო დოლიძემ.

— ლენინური პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტრუქციული წინადადებანი, თქვა საამქროს საამქროს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ქიშვარდი ყანდიაშვილმა. — ჩვენ არავის არ ვემუქრებით. გამალებულ შეიარაღებას არავითარი გამართლება არა აქვს. ყველა კეთილი ნების ადამიანის ვალია კონკრეტული საქმეებით დაუჭიროს მხარი ჩვენი ქვეყნის მიერ წამოყენებულ ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამას.

— ჩვენ ახალი სახლები გვჭირდება, და არა ახალი ბომბები, — ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანების ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ დიმიტრი პაპუაშვილმა. — ჩვენ გვინდა ვაშენოთ ახალი ელმავლები, ახალი ქალაქები, და არა ის, რომ გამოვიგონოთ ახალ სახეობათა იარაღი. გონების ხმამ უნდა გაიმარჯვოს.

მიტინგზე გამოსულმა ფართო მოხმარების საქონლის საამქროს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ოთოლდა იორდანიძემ, გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ გონჩაროვმა, საექსპერიმენტო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა როლანდ გოგიაშვილმა თქვეს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის განცხადება ამერიკელებისათვის გულღიად და პატიოსნად გაწვდილი ხელია.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას.

● რიგა საქმე მშვიდობის შენარჩუნებას, კაცობრიობისათვის ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას ეხება, არ უნდა იყვნენ გულგრილი ადამიანები. ეს ყველას და თითოეულს საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების ამ სიტყვებმა განსაზღვრა მიტინგზე შეკრებილი თბილისის საავიაციო ქარხნის მუშაკთა გამოსვლების ტონი. „ახალი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, თქვეს ავიამშენებლებმა, ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი სახელმწიფოს ძალას, პარტიისა და მთავრობის განუხრელ მისწრაფებას უზრუნველყონ მტკიცე, გარანტირებული მშვიდობა მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის.

ჩვენს თავზე მოწმენდილი ცისათვის იმიტომ ვიბრძვით, რომ მშვიდად ვზარდოთ შვილები, მშვიდობიანად ვიმოძოთ. ამიტომ ჩვენ დღითიდღე უნდა ვაუმჯობესებდეთ მუშაობას, იგი უფრო ნაყოფიერი და ხარისხიანი უნდა ხდებოდეს. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საწარმოს ხარების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის ტ. როსტაშვილის, ბრიგადირ თ. ბარიგინის, ზეინკალ ო. ჭყოიძის, უფროსი ინჟინრის ლ. ათუხაძის, ახალგაზრდა სპეციალისტის ი. კოკინის გამოსვლებს.

● „საბჭოთა ადამიანებს სურთ იცხოვრონ მშვიდობის პირობებში დედამიწაზე მოსახლე მთელ ხალხთან ერთად. მეოცე საუკუნემ კაცობრიობას ატომის ენერგია მისცა. ეს დიადი მონაპოვარი უნდა ემსახურებოდეს მშვიდობიან მიზნებს. იგი ადამიანებისათვის არ უნდა გახდეს თვითმოსპობის იარაღი“, — ასეთი სიტყვები ჩაწერეს თავიანთ რეზოლუციაში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამართული მიტინგის მონაწილეებმა. იგი მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების განხილვას.

მიტინგი გახსნა საწარმოს დირექტორმა გ. ქაშაკაშვილმა, რომელმაც თქვა, რომ მომდინარე წელი შეიძლება აღინიშნოს სეროიზული ძვრებით ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის პრობლემებისადმი მიძღვნილ ჟენევის მოლაპარაკებებზე, თუ, რა თქმა უნდა, ამერიკის მხარე ხელს აღებს კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებზე. ამ მიზნით ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა წინადადება, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთიორად შეამცირონ ბირთვული საშუალებები, რომლებიც ერთმანეთის ტერიტორიას აღწევს.

მიტინგზე გამოსულმა მეფოლადე ტ. ბარბაქაძემ თქვა:

— ჩვენ, რუსთაველმა მეტალურგებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ახალი წელი დავიწყეთ იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ სულ უფრო მეტი სიბეჯითით მივაღწიოთ შრომითს წარმატებებს მშვიდობიან სარბიელზე. ჩვენი საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური გეგმის გადაჭარბებით აწარმოოს ოთხი ათას ტონაზე მეტი ფოლადი. ჩვენ არ გვინდა, რომ ამ ფოლადისაგან დამზადდეს იარაღი, და ყველა მეტალურგს მოვიწოდებთ მხარი დაუჭირონ ბირთვულ განიარაღებას.

მას მხარი დაუჭირეს მებრძმედე ა. ძამაშვილმა, მეფოლადე ვ. გიგიბერიამ და სხვებმა.

სურათებზე: თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში გამართული მიტინგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით; ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, ამწყობ ზეინკალთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ქიშვარდ ყანდიაშვილი.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲠᲘᲗ ᲕᲘᲦᲧᲔᲑᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲡ!

დღეს ამ კითხვას უსვამს საკუთარ თავს პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი.

ორი კვირაა ვცხოვრობთ 1986 წელს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. მისი დევიზია: „დავიცვათ მშვიდობა და კაცობრიობის მომავალი“.

საბჭოთა ადამიანებმა მშვიდობის წელი დაიწყეს მომავლის წინაშე თავიანთი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. ეს საკმაოდ ზუსტად აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში — ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში.

მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ნდობისა და მეგობრული კონტაქტების განმტკიცებისათვის.

მახსენდება ჩვენი დელეგაციის ვიზიტი ამერიკის ჯორჯიის შტატში. მახსენდება ამერიკელთა საპასუხო სტუმრობა საქართველოში. მაშინ სტუმრები ცხოვრობდნენ ქართულ ოჯახებში, ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ რესპუბლიკის მცხოვრებლებს. საერთო იყო სტუმართა შთაბეჭდილება: ჩვენი ორი სახელმწიფოს ადამიანებს, ხალხებს, მთავრობებს შეუძლიათ და კიდეც უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად, შეუთანხმდნენ ერთმანეთს.

მშვიდობის წელი და პირველი დიდმნიშვნელოვანი კეთილი ნების ნაბიჯი, რომელიც სსრ კავშირმა გადადგა წელს, ყველა ჩვენგანს დამატებითს პოლიტიკურ და ზნეობრივ სტიმულს ანიჭებს მშვიდობისათვის, ბირთვული კატასტროფის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გ. ჩარკვიანი,
საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲝᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲕᲔ-ᲑᲔᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მსოფლიოს პრესის, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება. მას ყველგან უწოდებენ თანამედროეობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც პლანეტის ყველა ხალხის ინტერესებსა და იმედებს გამოხატავს.

სოფია. ბულგარეთის გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ: „მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული აღმოფხვრისათვის!“, „უნდა გაიმარჯვოს პასუხისმგებლობამ ხალხთა სვე-ბედისათვის!“, „გავთავისუფლოთ დედამიწა ბირთვული იარაღისაგან!“. წამოაყენა რა ახალი უაღრესად მნიშვნელოვანი სამშვიდობო ინიციატივები, წერს **„რაბოტნიჩესკო დელო“**, საბჭოთა კავშირი ამით სთავაზობს ბირთვული კატასტროფისაგან კაცობრიობის ხსნის პროგრამას.

ბუდაპეშტი. „შეეხვდეთ მესამე ათასწლეულს მასობრივი მოსპობის იარაღის გარეშე!“, — ასეთი სათაური წაუმძღვარა უნგრულმა **„ნეპსაბადშაგმა“** მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ განიარაღების ახალი მასშტაბური პროგრამის ფარგლებში საბჭოთა კავშირი წინადადებას აყენებს ეტაპობრივად მოსპონ ბირთვული, სტრატეგიული იარაღის მარაგი. გზა გადაუკეტონ კოსმოსური შეიარაღებას.

(დასასრული მე-3 გვ.).

ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲚᲐ

რესპუბლიკის მომჭირნეობისათვის მტკიცედ იბრძვის საქმთა-ვარეშერგოს სამმართველოს კოლექტივი. ჰიდროლექტროსადგურების მარეგულირებელ წყალსაცავებში მაქსიმალური ეფექტიანობით იყენებენ წყლის მარაგს. ამის მეოხებით შეიქმნა ისეთი მარაგი, რომელიც საკმარისია 300 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგიის საწარმოებლად.

მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღინიშნა სათბობთა, ელექტრო და თბოენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული გადაწყვეტის კომისიის მორიგ სხდომაზე, ზოგიერთ საწარმოში უშვებენ სათბობ-ენერგეტიკული მასალების გადახარჯვას. გასაკვირია ხელსაწყოების უკანონო გამოყენებისათვის საქმთა-ვარეშერგოს ენერგოზედამხედველობა იძულებული გახდა ქსელიდან გამოერთო „ქუთაისპურის“ საწარმოო გაერთიანების ფილიალი. თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლატში“ ზედმეტად ხარჯავენ საავტომობილო ბენზინს, დიზელის სათბობს, გაზს. მაგალითად, ამ ქარხნის კუთვნილ მარტო სამ ავტომობილზე ნორმის გადაჭარბებით დიახარჯა 657 ლიტრი ბენზინი, არ არის მუშაობის აღრიცხვისა და ბალანსი. ბოლოს, ზოგიერთ საწარმოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

დამტკიცდა მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

მიღებულია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1986-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარებისა და ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად 1986 წლის პირველი ორი თვის წარმატებით დამთავრების ამოცანები.

აღინიშნა მნიშვნელოვანი მუშაობა, რომელიც გაწეულია მეოთრმეტე ხუთწლედის დამთავრებელი წლის საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ ვერ უზრუნველყო დავალებათა შესრულება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა სამრეწველო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, სახელშეკრულებო მიწოდებები, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირება, საცალო საქონელბრუნვის გეგმა და სხვ. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სოლქო, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა ფართოდ გაშალონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა შრომითი კოლექტივების მიერ საუკეთესო შედეგების მისაღწევად სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში, 1986 წლის იანვარ-თებერვლისათვის დასახულ საგეგმო დავალებათა წარმატებული შესრულების უზრუნველსაყოფად.

განიხილა რა იმ მუშაობის საკითხი, რომელიც აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სრულდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის აფხაზეთის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საბაზო საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაავალა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, აამაღლონ მეცნიერების საფუძველთა სწავლების იდეურ-თეორიული დონე, გააღრმავონ მათი კავშირი კომუნისტური შენებლობის პრაქტიკასთან, განამტკიცონ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მასწავლებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი, რომლებიც ახასიათებს პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზაციასა და მოწყობას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებში. ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობა ამ მიმართულებით მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად. პირუტყვის გამოზამთრების დროს სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მიეთითათ პარტიის ცხინვალისა და ჯავის რაიკომების ბიუროებს. საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ფ. ვ. ჯიოევს გამოეცხადა საყვედური, პარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ა. კაჩმაზოვი გაფრთხილებულია. სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ამხ. ხ. ე. ურჯუმელაშვილს გამოეცხადა საყვედური.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბორჯომის რაიონის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1986-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარებისა და ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ

ლენინელი ბოლშევიკის სახელოვანი გზა განვლო მაკარ ჯაშმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, ლენინის, შრომის წითელი დროშის, პირველი ხარისხის სამამულო ომის, „საპატიო ნიშნის“ ორდენების, 12 მედლის კავალერმა.

მ. ჯაში ახალგაზრდობიდანვე აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. მუშაობდა პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე. იგი იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს, დიდი სამამულო ომის პერიოდში ასრულებდა ამირკავკასიის ფრონტის სარდლობის მრავალ სპეციალურ დავალებას, პასუხსაგები თანამდებობანი ეკავა საქართველოს პროფსაბჭოში, როგორც დელეგატი მონაწილეობდა სკკპ XVIII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობაში, არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დღეს მაკარ ჯაში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატია, იგი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა.

სურათზე: მ. ჯაში.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ XXVII ყრილობის შესაბამისად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

შენიშვნები, წინადადებანი

● **ცნობილია,** რომ ნაწარმის ცუდი ხარისხი არა მარტო ფუჭად დახარჯული ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია, არამედ სამუშაო დროც. მაგრამ წუნს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი — მორალური მხარეც აქვს, რომელიც ერთობ ლახავს ნებისმიერი შრომითი კოლექტივის ავტორიტეტს. ამიტომ ვფიქრობ, წუნისმეთებელნი მატერიალურთან ერთად მორალურადაც უნდა ისჯებოდნენ, საჯაროდ უნდა აგებდნენ პასუხს, როგორც ამას ძოითხოვს, სხვათა შორის, კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეორე ნაწილის მეორე განყოფილების მეათე აბზაცს, სადაც ლაპარაკია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, დაემატოს წინადადება: „ის პირნი, რომლებიც წუნიან პროდუქციას გამოუშვებენ, მკაცრად ისჯებიან, ამასთან ეცხრებათ როგორც მატერიალური, ისე მორალური პასუხისმგებლობა თავიანთი კოლექტივის წინაშე“.

ლ. კაკაბაძე,
თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ სართავი საამქროს უფროსი ოსტატი.

● **უველა** დონეზე ძალიან ხშირად გვესმის და ვლაპარაკობთ, იმის შესახებ, რომ ამჟამად მიმდინარე თათბირების უმრავლესობა კი არ ეხმარება, არამედ ზოგჯერ, პირიქით, ხელს უშლის მუშაობის ნორმალურ რიტმს, საშუალებას არ აძლევს ხელმძღვანელებს შეასრულონ თავიანთი პირდაპირი მოვალეობანი. ამიტომ კარგი იქნება, თუ „ძირითად მიმართულებათა“ პროექტის, XIV განყოფილების ოცდამეათე აბზაცს, რომელშიც ლაპარაკია მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, სიტყვების „უფრო ოპერატიულად გადავწყვეტოთ მიმდინარე საკითხები...“ შემდეგ დაემატება ასეთი წინადადება: „მინიმუმამდე შევამციროთ თათბირების რიცხვი, არ განვიხილოთ მათზე საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ადვილად შეიძლება ადგილებზე საკუთარი ძალებით“... შემდეგ როგორც ტექსტშია.

ბ. სიმონგულოვი,
ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის № 8 საამქროს უფროსი.

● **მიზანშეწონილად** მიმაჩნია, სკკპ წესდების პროექტის მეორე ნაწილის მეორე თავს „პარტიის ეკონომიკური სტრატეგია“ დაემატოს შემდეგი ახალი დებულება: „სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება გაფართოებული კვლავწარმოების უპირატესად ექსტენსიური ტიპიდან კვლავწარმოების უპირატესად ინტენსიურ ტიპზე გადასვლის ეკონომიკური კანონის მოქმედება, რომელიც მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის კარდინალურ დაჩქარებას და წარმრების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის უმაღლესი დონის მიღწევას უზრუნველყოფს“.

საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე, რომ „ძირითად მიმართულებათა“ პროექტის მეთორმეტე თავს „საწარმოო ძალების განლაგება, მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის განვითარება“ დაემატოს **თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვით ეროვნული შიმოსავლის ზრდის მაჩვენებელი მეთორმეტე ხუთწლედისათვის.** ეს საჭიროა იმიტომ, რომ ეროვნული შემოსავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი და სინთეზური მაჩვენებელია. კარგი იქნება, თუ იმავე თავს დაემატება ასეთი დებულება: „**უზრუნველვყოთ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით შიდარესპუბლიკური რეგიონნების დონის გათანაბრება, შედარებით ჩამორჩენილი რეგიონნების განვითარების ტემპის შემდგომი დაჩქარება**“.

ა. თეთრაული,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის XXIV პლენუმზე ითქვა: „მიწა საერთოდ ძალზე გრძნობიარედ რეაგირებს იმაზე, თუ როგორ ეკიდებიან მას. იგი ვერ იტანს გულგრძელობასა და უყაირათობას, რასაც გავერანება მოჰყვება ხოლმე. სამაგიეროდ მადლიერებით, ასმაგად უნაზღაურებს მზრუნველობასა და ყურადღებას, ნამდვილ სიყვარულს, უხვად ასაჩუქრებს მისივე შრომის ნაყოფით“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ცელინოგრადში თათბირზე აღნიშნა, რომ უნდა გავაუმჯობესოთ მიწების გამოყენება, გავადიდოთ მათი ნაყოფიერება, მივაღწიოთ უველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უნდა წარმართოს იმ გზით, როგორც ეს ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებაშია მითითებული, რათა რადიკალურად გავაუმჯობესოთ ბუნებრივი რესურსების გამოყენება.

თანამედროვე ცხოვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს, რათა სისტემატურად იზრდებოდეს მიწის ნაყოფიერება, რადგან იგი სოფლის მეურნეობის დაჩქარებული პროგრესის აუცილებელი პირობაა.

ცნობილია ისიც, რომ კ. მარქსს მიწა მიაჩნდა, როგორც „...მთელ რიგ ერთი მეორის შემცველ ადამიანთა მოდგმის არსებობისა და კვლავწარმოების გაუსხვისებელ პირობად“.

სსრ კავშირში მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებში დასახული ამოცანა, რათა ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების მიზნით განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი. ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ქმედით ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება ნიშნავს მისი კონკრეტული გამოსახულების — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

ბუნებრივი ნაყოფიერების გარდაქმნა ეკონომიკურ ნაყოფიერებად მჭიდროდ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და „ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და გამოყენების დონეზე.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ნიადაგის ნაყოფიერება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასახავს საზოგადოებასა და მიწით მოსარგებლე კოლექტივებსა და ინდივიდებს შორის მეურნეობრივ-მწარმოებლივ ურთიერთობებს.

ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების ზრდა გულისხმობს მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების არა მარტო შენარჩუნებას, მის გონივრულ გამოყენებას, არამედ ბუნებრივი ნაყოფიერების გადიდებას მიწაზე განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯების გადიდებით, ანუ ხელოვნური ნაყოფიერების მიმატებით.

სოციალიზმის პირობებში ნიადაგის ნაყოფიერების სისტემატური ზრდა განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, ძირითადად ეკონომიკური კანონის — გეგმაზომიერი განვითარების, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის კანონის მოქმედებით და სხვა.

სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზანი — საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, ადამიანთა თავისუფალი და ყოვლმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, ობიექტური აუცილებლობით, მოითხოვს ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების სისტემატურ გადიდებას.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ფართო განვითარება სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველზე უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლებაზე. იგი ხელს უწყობს არა მარტო ნიადაგის დიფერენციული, არამედ აბსოლუტური ნაყოფიერების გადიდებას.

ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების მომატება, როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდების საშუალება, დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სამუშაო ძალის კვალიფიკაციაზე, აგრარული შრომის ინტელექტუალიზაციაზე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წარმატებით გამოყენება პირდაპირ კორელაციურ ურთიერთობაშია სოფლად დასაქმებული მუშახელის კვალიფიკაციასთან, მის პროფესიულ დახელოვნებასთან.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, მიწაზე საერთოსახალხო საკუთრების არსებობა ხელს უწყობს ნაყოფიერების სისტემატურ გადიდებას, რაც კონკრეტულ გამოვლინებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდაში ეფექტურობრივმა და შესაბამისად — ჰექტარობრივმა მოსავალმაც.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ჩვენს დროში ერთობ ვითარდება ტექნიკა და მასთან დაკავშირებით, დღეს უთვალისი მიწები ხვალ შეიძლება გამოსადეგი გახდეს. ახლა სსრ კავშირში უსარგებლო მიწების ფართობები მცირდება მიწის ნაყოფიერების გადიდების შედეგად და საშუალო და კარგი ნაყოფიერების მიწების კატეგორიებში გადადის. ჩვენს ქვეყანაში მიწის კადასტრის მონაცემების მიხედვით, უსარგებლო მიწების ხვედრითი წილი უდრის 9,3 პროცენტს, საშუალო ნაყოფიერებისა — 62,8 პროცენტს, ხოლო კარგი მიწებისა — 27,2 პროცენტს.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ადამიანის ფაქტორს. იმ მეურნეობებში, სადაც ხელმძღვანელები კარგად ერკვევიან თანამედროვე მეცნიერების მიღწევებში და მას წარმოებაში კარგად ნერგავენ, იქ ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერებაც და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაც მეტია. საილუსტრაციოდ თუ შევადარებთ ერთსა და იმავე ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში მყოფ საგარეჯოს რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთ მაჩვენებელს გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობის მაჩვენებლებს, ასეთ სურათს მივიღებთ: ყურძნის მოსავალი 1983-1985 წლებში საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი იყო, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში კი 1983 წელს — 15,7 ცენტნერი, 1985 წელს კი — 33,3 ცენტნერი; ტონა ყურძნის თვითღირებულება შეადგენდა: 1983 წელს საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში 37,02 მანეთს, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში — 122,80 მანეთს, 1984 წელს შესაბამისად — 35,80 მანეთს და —72,5 მანეთს. ერთმა მუშაკმა 1983 წელს საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში 2.169 მანეთის პროდუქცია აწარმოა, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში კი — 1.059 მანეთის, 1984 წელს შესაბამისად — 2.186-2.150 მანეთს. როგორც ეს მონაცემები გვიჩვენებენ, საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობას გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობას, რაც უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ შრომის ორგანიზაციის დონე, ამ საქმეში ხელმძღვანელთა წილი საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა

მიწის მაღლი ნაყოფიერებაა

ფიერებამ და შესაბამისად — ჰექტარობრივმა მოსავალმაც.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ჩვენს დროში ერთობ ვითარდება ტექნიკა და მასთან დაკავშირებით, დღეს უთვალისი მიწები ხვალ შეიძლება გამოსადეგი გახდეს. ახლა სსრ კავშირში უსარგებლო მიწების ფართობები მცირდება მიწის ნაყოფიერების გადიდების შედეგად და საშუალო და კარგი ნაყოფიერების მიწების კატეგორიებში გადადის. ჩვენს ქვეყანაში მიწის კადასტრის მონაცემების მიხედვით, უსარგებლო მიწების ხვედრითი წილი უდრის 9,3 პროცენტს, საშუალო ნაყოფიერებისა — 62,8 პროცენტს, ხოლო კარგი მიწებისა — 27,2 პროცენტს.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ადამიანის ფაქტორს. იმ მეურნეობებში, სადაც ხელმძღვანელები კარგად ერკვევიან თანამედროვე მეცნიერების მიღწევებში და მას წარმოებაში კარგად ნერგავენ, იქ ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერებაც და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაც მეტია. საილუსტრაციოდ თუ შევადარებთ ერთსა და იმავე ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში მყოფ საგარეჯოს რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთ მაჩვენებელს გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობის მაჩვენებლებს, ასეთ სურათს მივიღებთ: ყურძნის მოსავალი 1983-1985 წლებში საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი იყო, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში კი 1983 წელს — 15,7 ცენტნერი, 1985 წელს კი — 33,3 ცენტნერი; ტონა ყურძნის თვითღირებულება შეადგენდა: 1983 წელს საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში 37,02 მანეთს, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში — 122,80 მანეთს, 1984 წელს შესაბამისად — 35,80 მანეთს და —72,5 მანეთს. ერთმა მუშაკმა 1983 წელს საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში 2.169 მანეთის პროდუქცია აწარმოა, გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში კი — 1.059 მანეთის, 1984 წელს შესაბამისად — 2.186-2.150 მანეთს. როგორც ეს მონაცემები გვიჩვენებენ, საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობას გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობას, რაც უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ შრომის ორგანიზაციის დონე, ამ საქმეში ხელმძღვანელთა წილი საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა

ეს მონაცემები ნათლად გვიჩვენებს იმ რეზერვებს, რომლის ამოქმედებასაც მნიშვნელოვნად შეუძლია გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, შეამციროს მისი თვითღირებულება. საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 3,3-ჯერ ნაკლები იყო, 1984 წელს კი — 2-ჯერ. განსხვავება თვითღირებულებაში, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე ყურძნის მოსავალობა მეტია, ვიდრე გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში.

მიწის ნაყოფიერების გადიდების პროცესისათვის ტექნიკური პროგრესის პირობებში დამახასიათებელია ის, რომ ბუნებრივი ნაყოფიერების ხვედრითი წილი მცირდება, სამაგიეროდ ინტენსიურად მატულობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მიღწეული ნაყოფიერება. ეს ყველაფერი სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის, რეზერვების ამოქმედების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების გამოყენების შედეგია.

ბ. ჩაბელიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ეურნალისტი.

ქრონიკა

„კომუნისტს“ უპასუხებენ

პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტი და აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო

ქალაქ სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა რედიმ მასალა „გზა დავუხვიოთ სპეკულანტებს“. ამის გამო რედაქციამ ორი პასუხი მიიღო, რომლებშიც გვწერენ:

პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. თარბა: სტატია „გზა დავუხვიოთ სპეკულანტებს“, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ 1985 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნდა, პრინციპულად განიხილეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროში და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევებისა და არსებული ნაკლოვანებებისათვის მკაცრად არიან გაფრთხილებული ამ ობიექტების ხელმძღვანელები —თ. კოხჯარია და ა. ცხვიტარია.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროში ამ ამხანაგებს მოსთხოვა ძირფესვიანად გაუმჯობესონ საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობა, უზრუნველყონ იქ ჯროვანი სახელმწიფო წესრიგი და დისციპლინა, აამაღლონ მომსახურების კულტურის დონე.

გარდა ამისა, განახლებულია მილიციის ოპერპუნქტის შემადგენლობა; იქ გაიგზავნენ შინაგან საქმეთა ორგანოების ინიციატივიანი და პრინციპული თანამშრომლები, რომლებსაც ამოცანად დაესახთ ყოველნაირად აამაღლონ პროფილაქტიკური მუშაობის დონე, აღკვეთონ სპეკულაცია და სხვა სამართალდარღვევანი საკოლმეურნეო ბაზრებში.

ამასთანავე, ბაზრის ფასების შემცირებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით, ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა უფრო უხვად შემოზიდონ და გაყიდონ საკოლმეურნეო ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქტები, აგრეთვე განავითარონ ხილოსტეულის სავაჭრო ქსელი.

აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ლ. ბგანბა: გაზეთ „კომუნისტში“ 1985 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატია „გზა დავუხვიოთ სპეკულანტებს“ განხილულს აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრომ და მისმა საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ და ღონისძიებანი ავიღეთ გათვალისწინებულნი. ამიტომ რწმავარო მომავალში ეფექტიანად ვიბრძოლებთ ფასების შეკვნეტილობისა და ფასიერობის დარღვევების, ამ საქმის მოგვარებამდე სათანადო დახმარებას გაგიწევს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი „თამაში ჯიბის დაცლამდე“, რომელშიც მხილებულნი იყვნენ აზარტული თამაშების მოტრფიალენი. ამის გამო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო რედაქციას სწერს:

აზარტული თამაშების მოყვარული პირთა მიმართ პროფილაქტიკური მუშაობის შესუსტებისა და არასათანადო კონტროლისათვის, ,გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის ბრძანებით სოფელ გამარჯვების უბნის ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ი. ბექაურს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ზ. ნინაშვილი მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

გარდაბნის რაიგანყოფილების მიერ შემუშავებულია ღონისძიებანი სამოქმედო ტერიტორიაზე აზარტულ თამაშებში შემჩნეულ პირთა გამოვლენის, მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების მიზნით და საერთოდ სათანადო წესრიგის დასაყარებლად.

აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

საკურორტო ზონაში სისუფთავისა და წესრიგის დაცვის ნაკლოვანებებს ეხებოდა წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით „კონსერვის ქილების პეიზაჟები“. ამის გამო აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი „კონსერვის ქილების პეიზაჟები“ ოპერატიულ თათბირებზე განიხილეს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილებამ, გაგრის და გუდაუთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებებმა და აღნიშნეს, რომ გაზეთში მოცემული ფაქტები სწორია.

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს კონკრეტული მითითებანი მიეცათ იმისათვის, რომ გააძლიერონ გარეშმოს და ბუნების სიმდიდრის დაცვა, განსაკუთრებით სახელმწიფო ნაკრძალების რაიონებში.

1985 წელს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ სხვა ორგანიზაციებთან ერთად განხორციელდებულ ღონისძიებათა შედეგად აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე გამოვლინდა 1206 სხვადასხვა დარღვევა, სახელდობრ ბრაკონიერობა, ნადირობისა და მებადურობის წესების უგულებელყოფა, წყალსატევებისა და სახელმწიფო ნაკრძალების გაჭუჭყიანების ფაქტები. აქედან 109 დარღვევა გამოვლენილია რიწის ტბისა და მდინარე ბზიფის მიდამოებში.

შინაგან საქმეთა ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან აგრეთვე შინაური არყის რეალიზაციის ფაქტების გამოსავლენად.

რიწის ტბის საკურორტო რაიონებში გამოვლენილია არყის გამოხდის 13 შემთხვევა, ჩამორთმეულია 13 არყის სახდელი ქვაბი და 457 ლიტრი თვითნახადი არაყი.

ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება და მას მუდმივ კონტროლს უწევს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თბილისის საიარაღო ქარხნის მოწინავე კოლექტივში საუკეთესო მუშის სახელი დამკვიდრა ახალგაზრდა გამმართველმა, კომუნისტმა მამუკა ველიაშვილმა. იგი სისტემატურად პირველობს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სურათზე: მამუკა ველიაშვილი.

ა. საკაკოვის ფოტო.

სოციალიზმის სრულყოფა და ეროვნული ურთიერთობა

ყრილობისწინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა

სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარია სსრ კავშირში ეროვნული საკითხის — საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ურთულესი პრობლემის — წარმატებით გადაჭრა.

კაპიტალიზმის პირობებში ხალხთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ფაქტობრივი უთანასწორობა, წინათ ჩაგრულ ერთა და ეროვნებათა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, განეზორციელებინათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმა, გადაეჭრათ სსრ კავშირი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

სოციალიზმის მშენებლობის პროცესში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, უველა ეროვნების მშრომელთა ინტერესების ბაზაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, რომლის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი. საბოლოოდ ჩაბარდა ისტორიას ეროვნული ჩაგრა, ერების შორის შტრობა და შუღლი. ცხოვრების ნორმა გახდა ადამიანთა თანასწორუფლებიანობა, უველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობა, მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად ისტორიაში პირველად მხოლოდ საბჭოთა კავშირში იქნა უზრუნველყოფილი ერებისა და ეროვნებათა არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტობრივი თანასწორობა, რაც ჩვენში დაკანონებულია კონსტიტუციურად.

საბჭოთა საზოგადოების უველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, უველა ერისა და ეროვნების ძმური თანამშრომლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელიც შედუღაბებულია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტერნაციონალური, მათი ძირეული ინტერესების, მიზნებისა და მსოფლმხედველობის ერთიანობით.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს თითქოს ჩვენში ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხი გადაწყვეტილიყოს. ჩვენნაირი დიდი, მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების დინამიკა ბევრ ისეთ პრობლემას შობს, რომელთა გადაწყვეტა პარტიის გულისხმიერ ყურადღებას მოითხოვს.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში აღნიშნულია, რომ ჩვენს სოციალისტურ მრავალეროვან სახელმწიფოში, ასზე მეტი ერისა და ეროვნების ერთობლივი შრომისა და ცხოვრების პროცესში, კანონზომიერად წამოიჭრება ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის ახალი ამოცანები. პარტია წყვეტდა და გადაწყვეტს მათ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაკადი პრინციპების საფუძველზე. იგი თვისი სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნევს ეროვნული ურთიერთობის სრულყოფას, ჩვენი ქვეყნის უველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა საზოგადოებაში ეროვნულ ურთიერთობას ახასიათებს როგორც. ერებისა და ეროვნებების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავება, ისე ნებაყოფლობის, თანასწორობის, ძმური თანამშრომლობის საფუძველზე მათი განუხრელი დაახლოებაც. აქ დაუშვებელია განვითარების მომწიფებული ობიექტური ტენდენციების როგორც ყოველგვარი ხელოვნური წაბიძგება, ისე მათი შეკავება.

ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების აყვავება-დაახლოება, მათი სრული ერთიანობა შესაძლებელია ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარებისა და მისი ფორმების სრულყოფის გზით. ახლა სსრ კავშირის ხალხთა 97,6 პროცენტს თვისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა აქვს, რომლის ფორმებმა გაუძლო დროის გამოცდას, ცხადყო სიცოცხლისუნარიანობა და სოციალისტურ ფედერალიზმთან შეთანხმებით თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ არა მარტო თანამედროვე ეტაპზე, არამედ შეინარჩუნებენ სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საერთოსახალხო თვითმმართველობად გადაზრდის დროისათვისაც.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში ჩამოყალიბდა უველა ერისა და ეროვნების კულტურის, მორალის, ყოფა-ცხოვრების, სულიერი განვითარების ბევრი საერთო ნიშანი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საბჭოთა საზოგადოებაში უკვე ქრება ეროვნული სხვაობანი ან, მით უმეტეს, ხდება ერების შერწყმა. სსრ კავშირში მცხოვრები უველა ერი და ეროვნება არა მარტო ინარჩუნებენ საკუთარ თავისებურებებს, ეროვნული ხასიათის ნიშნებს, ენასა და საუკეთესო ტრადიციებს, არამედ მათ ეძლევათ კონსტიტუციით გარანტირებული შესაძლებლობა, მიაღწიონ ეროვნული კულტურის შემდგომ აყვავებას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი, ხალხებსა და ქვეყნებს შორის იარსებებს ძალიან დიდხანს, თვით პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი, რომ მშრომელთა ინტერნაციონალური დარაზმულობის ამოცანები მოითხოვს არა ამ განსხვავებათა და თავისებურებათა წაშლას, გაუქმებას, არამედ მათს უაღრესად გულმოდგინე გათვალისწინებას. როცა იგი ლაპარაკობდა ეროვნულ განსხვავებათა დაძლევაზე სოციალიზმის დროს, მას მხედველობაში ჰქონდა იმ ბარიერების მოსპობა, რომლებიც კაპიტალიზმმა აღმართა ერების ერთმანეთისადმი დასაპირისპირებლად, მათ შორის ეროვნული სიძულვილისა და შუღლის გასაღვივებლად. სოციალიზმი სპობს არა ეროვნულ განსხვავებებს და თავისებურებებს, არამედ ხალხთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უველა ფორმას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ეროვნული განსხვავებანი და თავისებურებანი შენარჩუნებულ იქნება თვით კომუნისტური ფორმაციის პირობებშიც. ამიტომ პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის დებულება, რომ ეროვნული ურთიერთობის განვითარებას „შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში ერების სრული ერთობა მოჰყვება“ ნიშნავს ერთა მხოლოდ სოციალურ და არა ეთნიკურ ერთიანობას. ერების სოციალურ-ეკონომიკური დაახლოება, რომელიც ხდება არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, შორეულ პერსპექტივაში მიაღწევს ერების სრულ სოციალურ ერთიანობას. ამასთან ერთად, შენარჩუნებული იქნება ეროვნული ხასიათის თავისებურებანი, ენა და საუკეთესო ტრადიციები.

ჩვენი პარტია თავის პროგრამულ ამოცანად სახავს არა ეროვნულ ან, მით უმეტეს, ენობრივ, არამედ კლასობრივ განსხვავებათა დაძლევას, რომელიც ძირითადად სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში მოხდება. რაც შეეხება სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს, იგი მხოლოდ კომუნიზმის პირობებში დასრულდება.

მოსპო რა ერებს შორის ანტაგონიზმი, მტრობა და უნდობლობა, სოციალიზმმა ჭეშმარიტად ახალი ერთაშორისი ურთიერთობა დაამყარა, რეალობად აქცია მრავალსაუკუნოვანი ოცნება ხალხთა თანასწორუფლებიანობაზე, ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობაზე.

ერთა სრული ერთიანობის მიღწევა შესაძლებელია არა ეროვნულ თავისებურებათა უკვალოდ გაქრობის, არამედ ინტერნაციონალურისა და ეროვნულის სწორად შეხამების, საკავშირო და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი დაახლოების, ერებისა და ეროვნებების ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერების, საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების მიღწევის, მოქალაქეთა ინტერნაციონალისტური შეგნების განმტკიცებისა და ეროვნული შეზღუდულობის ყოველგვარი გამოვლენის დაძლევის გზით.

მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. საქმე ის არის, რომ თვით ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მრავალი ერისა და ეროვნების ცხოვრებისა და შრომის ფაქტი წარმოშობს ეროვნულ პრობლემებს, რომელთა ავტომატურად გაქრობა შეუძლებელია მანამ, სანამ არსებობენ ერები და ეროვნული განსხვავებანი. ხოლო ისინი კი იარსებებენ ძალიან დიდხანს თვით სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგაც კი. ეროვნული ურთიერთობის ს

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

...აგრომრეწვის გამოფენა

...საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა ექსპოზიცია, რომელიც ეძღვნება აგროსამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა დარგში მეორეული რესურსების, წარმოების ნარჩენების, არასტანდარტული პროდუქციის გამოყენებას.

ექსპოზიციაში რამდენიმე განყოფილებაა. ერთ-ერთი მათგანი სახავს რესპუბლიკის მიღწევებს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის დამზადებაში. ამ წარმოდგენილია მანდარინის ...ვენი, ხილის კონსერვები, ჯემები, გამგრილებელი სასმელები. ...ევრი სიახლეა წარმოდგენილი ...ნყოფილებაში „ჩაის ფოთლის ...გადამუშავება“. მათ შორის ლიმონით, პიტნით, რეჰანით არომატიზებული ჩაის მატონიზებელი სასმელები, ხსნადი ჩაი.

— მთელი ეს ნაწარმი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ სახაგრომრეწ...ის სუბტროპიკული კულტურების ...წარმოების და ჩაის გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ე. მა...ლაზონიამ, — მეთორმეტე ხუთწლედის პირმშოა. უახლოეს წლებში დაიწყება მათი მასობრივი ...ამოშვება. უკვე წელს, მაგალითად, ხსნადი ჩაის წარმოება 60-დან 500 ტონამდე გაიზრდება. ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით ჩაის კონცენტრატებისაგან მიღებულია სამი სახეობის სალბრები.

ბევრ საინტერესოს გვთავაზობენ ყურძნის გადამუშავების მრეწველობის მუშაკებიც. იცვლება 20 ღვინის ქარხნის პროფილი: ახლა ისინი გამოუშვებენ ...ენებს, უალკოჰოლო სასმელებს, სხვა ნაწარმს, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. და ამას მოწმობს ექსპოზიციაში წარმოდგენილი ...ურძნის თაფლი, ღვინის მჟავა, ...ურძნის ზეთი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ექსტრაქტები.

— ახალ ხუთწლედში დაგეგმილია უნარჩენო ტექნოლოგიის საფუძველზე გამოვუშვათ 100 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

საინტერესო სიახლეებს გვთავაზობს გაერთიანება „საქთვეზმრეწი“. მაგალითად, პირველად აწარმოებენ შპროტსა და პაშტეტს შავი ზღვის ქარსალასაგან, ...ახალ სახეობათა კონსერვებს. ...ათს გამოშვებას ითვისებს ბათუმის, სოხუმის, ფოთის საწარმოები. ზოგიერთმა ქარხანამ ააგო ...ბრილი შებოლილი თევზის გამოშვების ხაზები. რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის თევზის კულინარიით მომარაგებისათვის თბილისში წელს დაიწყება სპეციალიზებული ქარხნის მშენებლობა.

თათბირის მონაწილენი გაეცნენ აგრეთვე მუშაობას, რომელსაც ეწევიან ცეკავშირის, რესპუბლიკის მთელი რიგი კვლევითი ცენტრების, სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლექტივები აწარმოებენ ინდივიდუალური რესურსების გამოყენებისათვის.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ნანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ამხ. შოთა ვასილის ძე **ლომსაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით.

უნდა გაიმარჯვოს პასუხისმგებლობამ ხალხთა სვე-ბედისათვის

(დასასრული)

ბერლინი. „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ სსრ კავშირმა ატომური იარაღისაგან მსოფლიოს განთავისუფლების ყოველსმომცველი წინადადებები, განიარაღების დეტალური, კონკრეტული პროგრამა წამოაყენა. საბჭოთა კავშირი ესწრაფვის მკაცრი კონტროლის პირობებში და რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში ქიმიური იარაღის სრულ მოსპობას.

პარიზი. „მშვიდობას გვთავაზობენ“ — ასეთი სათაურით ბეჭდავს საბჭოთა განცხადების ძირითად დებულებებს ფრანგული „ლუმანიტე“. სსრ კავშირმა, წერს გაზეთი, გამოიჩინა უდიდესი მნიშვნელობის ინიციატივა განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების მიღწევის მიზნით. მან წამოაყენა ბირთვული იარაღის სრული მოსპობის, მომდინარე საუკუნის დამლევამდე ასეთი იარაღისაგან დედამიწის განთავისუფლების პროგრამა. ყოველგვარი ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი საბჭოთა კავშირის მხრივ კეთილი ნების გამოვლინებაა, რომელიც მოითხოვს, რომ მორატორიუმს შეუერთდეს შეერთებული შტატები, ამასთანავე „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობა დღემდე არ ...ამხობარებია საბჭოთა ინიციატივას მორატორიუმის თაობაზე, პირიქით, დემონსტრაციულად აწყობს ბირთვულ გამოცდებს.

ლონდონი. სსრ კავშირის ინიციატივა, რომ ვადა გაუგრძელოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმს, მოსკოვის მხრივ კეთილი ნების აქტია, აღნიშნავს ინგლისური „ტაიმსი“. ამავე დროს წერს, რომ ამერიკის მხარე დღემდე უარყოფს ყველა მოწოდებას — შეუერთდეს ასეთ მორატორიუმს. საბჭოთა ხელმძღვანელმა გასაგებად თქვა, რომ ბირთვული იარაღისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ...ამყენებული გეგმის განხორციელება დამოკიდებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მზადყოფნაზე, უარი თქვას „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაზე.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **ხ. პერეს დე კუელიარმა** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას საარსებო მნიშვნელობის და უაღრესად გულდასმით შესასწავლი დოკუმენტი უწოდა, რომელიც ...ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის ახალი საგარეოპოლიტიკური ინიციატივები, ჩვენი პლანეტის ბირთვული იარაღისაგან გაწმენდას რომ ისახავს მიზნად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაუყოვნებლივ გაიცეს ახალი საბჭოთა წინადადებანი, განუცხადა საკრებულს კორესპონდენტს მისმა წარმომადგენელმა. პერეს დე კუელიარი, თქვა მან, მზარს უჭერს ამ მნიშვნელოვან ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული შეიარაღების შემცირება და მოსპობა.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას — ვადა გაუგრძელოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმს, ...ოსკოვის წინადადებას, რომ ეტაპობრივად და თანამიმდევრულად განახორციელონ და დაასრულონ დედამიწის ბირთვული იარაღისაგან განთავისუფლების პროცესი ამ საუკუნის დამლევამდე, განაცხადა გონივრული ბირთვული პოლიტიკისთვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა **დევიდ კორნრაიტმა.** საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში მან თქვა, რომ ახალი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივის შეტყობისთანავე კომიტეტის, აგრეთვე ბირთვული შეიარაღების გაყინვისათვის ეროვნული კამპანიის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტ რეიგანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნა, რომ სსრ კავშირის წინადადებანი ახალ შესაძლებლობებს ქმნის მიაღწიონ ეფექტიან განიარაღებას, და მოუწოდა ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურს პოზიტიური პასუხი გასცეს მათ.

ტოკიო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას მიესალმნენ ჰიროსიმის ხელისუფლები და საზოგადოებრიობა. ჰიროსიმის მერმა **ტაკასი არაკიმ** თქვა, რომ განცხადებაში ჩამოყალიბებული წინადადებანი, რომელთა მიზანია ბირთვული განიარაღება, ეხმიანება ქალაქის მცხოვრებთა მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, ქალაქისა, რომელიც 40 წლის წინათ ამერიკელი ატომური დაბომბვის მსხვერპლი ახდა. მან იმედი გამოთქვა, რომ ბირთვულ და კოსმოსურ შეიარაღებათა თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებანი მსჯელობაში, რომელიც დღეს მეხვეში განახლდა, გამოიძებნება ბირთვული საფრთხის აღმოფხვრის გზები, კაცობრიობას რომ ეშეკრნენ. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, ჰიროსიმის უნივერსიტეტის სასატიო პროფესორმა **იტარო მორიტაკიმ** განაცხადა, რომ სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები გამოხატავენ ხალხთა მისწრაფებას მოისპოს მასობრივი განადგურების იარაღი.

თეთრი სახლის რეაქცია მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაზე

ვაშინგტონი. თეთრმა სახლმა გააკრიტიკა ამერიკის პრეზიდენტის განცხადება იმ ახალ საბჭოთა წინადადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში. რ. რეიგანი მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებას და იმედოვნებს, რომ საბჭოთა წინადადებები სასარგებლო შემდგომი ნაბიჯია ბირთვული იარაღების შემცირების გზაზე. იგი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები თავის მოკავშირეებთან ერთად გულდასმით შეისწავლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინადადებებს. ბევრი ელემენტი, ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში, რომლებსაც საბჭოთა დოკუმენტი შეიცავს, „არ შეცვლილა საბჭოთა კავშირის წინანდელ პოზიციასთან შედარებით“. ამავე დროს საბჭოთა წინადადება, აღნიშნულია შემდეგ, შეიცავს სხვა ელემენტებს, რომლებიც, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, შეიძლება კონსტრუქციული იყოს.

პრეზიდენტმა დაიმოწმა სხვადასხვა დროს მის მიერ გაკეთებული განცხადებები სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების საკითხების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით უფრაღდებას იქცევს ის გარემოება, რომ თეთრი სახლის აღნიშნულ დოკუმენტში მთლიანად აქვს გვერდი ავლილი დამკვრელი კოსმოსური იარაღის შექმნის, გამოცდისა და განლაგების საკითხს.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის დელეგაციას ენევაში დავალებული აქვს ხარული შეალსას მორიგებას, რომელსაც მიაღწიეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ჟენევაში, რაც შეიძლება დაიჩქარონ პროგრესი „შეტევითი ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირების მიღწევის და, კერძოდ, შუალედური სიშორის ბირთვული ძალების თაობაზე დროებითი შეთანხმების დადების“ - საქმეში. თუ გენერალური მდივნის მიერ ჩამოყალიბებული პოზიცია, აღნიშნავს შეერთებული შტატების პრეზიდენტი, გვაახლოებს ამ მიზანს, მაშინ ეს შეიძლება კონსტრუქციული ნაბიჯი გახდეს.

● ინდოეთი

მოსმენა დამთავრდა

დელი. აქ დამთავრდა მოსმენა სასამართლო პროცესზე 1984 წლის 31 ოქტომბერს ინდოეთის ოვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ინდირა განდის მკვლელობის საქმის გამო.

განსასჯელთა სკამზე მსხდომთ სატვანტ სინგჰს, ბაბირ სინგჰსა და ქეჰარ სინგჰს წაუყენეს მკვლელისა და დანაშაულებრივი შეთქმულების ბრალდება. განაჩენის გამოტანა დანიშნულია 22 იანვრისათვის.

დაეხმარება იტალიელებს

იტალიურ ენაზე გამოიცა აბახანაგ მ. ს. გორბაჩოვის წიგნი

რომი. მილანის გამომცემლობა „ტეტი ედიტორემ“ იტალიურ ენაზე გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებული.

წიგნის წარდგენის ოფიციალური ცერემონია გაიმართა სსრ კავშირის რომის საელჩოში. ცერემონიას დაესწრნენ იტალიის თვალსაჩინო სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრები, პარლამენტის სენატორები და დეპუტატები, საქმიანი საკაყაროს წარმომადგენლები.

„სოციალიზმის შემდგომი განვითარება, საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა, ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლა — ასეთია საბჭოთა კავშირის დღევანდელი მისწრაფებები, — ნათქვამია კრებულის წინასიტყვაობაში, რომლის ავტორია ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი ე. სანტარელი. — ამ ფურცლებს რომ ეცნობი, გეკმნება შთაბეჭდილება ქვეყანაზე, რომელსაც უყვარს მშვიდობა და ომის შემდგომი ორმოცი წლის მანძილზე არ ავიწყდება, რომ დაკარგა ოცი მილიონი კაცი. ქვეყანაზე, რომელიც კანონიერი სიამაყით აპირებს დაიცვას თავისი ცხოვრების წესი“.

ცერემონიაზე გამოსულმა ორატორებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შრომების გაცნობა იტალიელებს დაეხმარება უფრო ღრმად გაიგონ თანამედროვე საბჭოთა სინამდვილე.

...ეს თქვენ რამდენიმე ნამცეცი ჩვენი სუფრიდან.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

„კაპიტალის“ ქვეყნებში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სწრაფი ტემპით იზრდება მსხვილი მონოპოლიების, ბანკებისა და უმდიდრესი ოჯახების შემოსავალი, ხალხთა ფართო მასების გაღარიბება კი „თანაბარ შესაძლებლობათა საზოგადოების“ ნამდვილ უბედურებად იქცა“ (გაზეთებიდან).

50-იანი წლებიდან დაწყებული, ეკონომიკური აღმავლობისა და თუ დაქვეითების პერიოდებში, ლიბერალური და კონსერვატიული ადმინისტრაციების მმართველობის დროს ეროვნულ უმცირესობებს შორის უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე თეთრკანიან მოსახლეობაში. ამ პრობლემას ვერაფერი მოუხერხა ვერც 60-იანი წლების „დიდმა საზოგადოებამ“ და ვერც 70-იანი წლების სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამებმა. შავკანიანების, ესპანურენოვანთა და სხვ. უმცირესობების მდგომარეობა ამჟამად გაცილებით უარესია წარსულთან შედარებით. უმუშევრობა შავკანიანთა შორის შეადგენს 15 პროცენტს, ანუ 2,3-ჯერ მეტია, ვიდრე თეთრკანიან მოსახლეობაში. ესპანურენოვან ამერიკელთა შორის ეს მაჩვენებელი 11,2 პროცენტს აღწევს, ანუ უმუშევრობა 1,75-ჯერ მეტია, ვიდრე თეთრკანიანებში. ეს ორი ციფრი მნიშვნელოვნად აღემატება 1980 წლის მონაცემებს.

„ბიზნეს უიკმა“ თხოვნით მიმართა ჩრდილო-აღმოსავლეთ უნივერსიტეტის შრომის ბაზრის საკვლევი ცენტრის და არაკომერციული ორგანიზაციის — „მენფაუერ დემონსტრაციშნ როსეჩ კორპორეიშნს“ (რომელიც პროფესიული განათლების ღონისძიებებს სწავლობს) ექსპერტებს, რათა დახმარება გაეწიოთ ეროვნულ უმცირესობებს შორის უმუშევრობის დონის შესამცირებლად აუცილებელი ხარჯების განსაზღვრაში. გამოკვლევამ ცხადყო, რომ წელიწადში დაახლოებით 19 მილიარდი დოლარი უზრუნველყოფდა 3,2 მილიონი ღარიბი უმუშევრის მომზადებას, რომელთაც შრომისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია არა აქვთ. ამათგან 2 მილიონი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი იქნებოდა. ზემოხსენებული თანხა 1985 წლის ფედერალური ბიუჯეტის 1,4 პროცენტს შეადგენს.

ამჟამად ასეთი საზომი პოპულარობით არ სარგებლობს. 1980 წლიდან პრეზიდენტი რეიგანი ცდილობდა შეიმცირებინა ვაშინგტონის როლი მუდმივ უმუშევართა დახმარებაში. მისი უკანასკნელი ინიციატივა გახლდათ წინააღმდეგობრივი წინადადება — ჰაბუკებისა და ქალიშვილებისათვის მინიმალურზე დაბალი ხელფასი მიეცათ იმ მოსაზრებით, რომ ასეთ შემთხვევაში მეწარმენი მეტად დაინტერესდებოდნენ მათი დაქირავებით. ჯერჯერობით კონგრესმა შეაჩერა ამ ღონისძიების განხორციელება.

ამავე დროს დღევანდელი დაგეგმვებული ამერიკელების ბაღაქცევა ხვალინდელ პროდუქტიულ მუშად მალე შეიძლება ამერიკული ბიზნესისათვის გადაუდებელ საქმედ იქცეს. „ჩვენ მუშახელის ნაკლებობისაკენ მივდივართ“, — აცხადებს „ქსეროქს კორპორეიშნის“ მთავარი მმართველი და საქალაქო ეროვნული ლიგის თავმჯდომარე დენდ კირნსი. იმის გამო, რომ მაღალი შობადობის პერიოდის თაობა საშუალო ასაკს უახლოვდება, დაბალი შობადობის პერიოდი ამცირებს 16-24 წლის ასაკის მოქალაქეთა რიცხვს. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომისტი მაიკლ პაიორი ამბობს: „უმარტივესი დემოგრაფიული გამოანგარიშება მოწმობს, რომ შრომის ბაზარზე მუშახელის ნაკლებობაა მოსალოდნელი.“

უფრო მეტიც, მუდმივ უმუშევრობაზე შეტევამ შესაძლოა საამისოდ გაწეული ხარჯები აანაზღაუროს. არავის დაუანგარიშებია საერთო-ეროვნული გეგმის ხარჯები და სარგებელი. თუმცა, პრინსტონის „მათემატიკა პოლის რესეჩ ინკორპორეიტედის“ ფირმის მიერ მოწყობილი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ 20-წლიანი პროგრამა ეგრეთ წოდებული „შრომითი კორპუსი“ თავის ხარჯებს აინაზღაურებს 3 წლის შემდეგ, როდესაც ერთ სულზე გაწეული ხარჯები 6.244 დოლარს შეადგენს. 1982 წლიდან შტატების ანოლქების პროგრამებმა — „სამუშაოს ძებნა“ და „უორკფერი“ (მუშუშევრობის დახმარების მიმღები სტიმულს უქმნიან, რათა ყოველგვარ სამუშაოს მოჰკიდონ ხელი), რომლებიც განკუთვნილი დახმარების მიმღები დედებისათვის, მასაჩუსეტსში 50 მილიონი დოლარი დაზოგეს. „მენფაუერ დემონსტრეიშნ რისეჩ კორპორეიშნის“ მიერ მოწყობილმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ევრეთ წოდებული დამხმარე სამუშაოების პროგრამები, რომლებიც დედებისათვის არის განკუთვნილი, სამ წელიწადში აანაზღაურებს თავის ხარჯებს. „სოციალური დახმარება და ტიხეების შეხსნა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ასეთი პროგრამები“, ამბობს მეწარმეთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი უილიამ კოლბერგი, რომელიც კომპანიებს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში აბამს. იგი დასძენს: „ასე თუ ისე, ჩვენ მოგვიხდება ხარჯების გაღება იმ უქონლობა პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც არ მუშაობენ“. როგორც ჩანს, საზოგადოებრიობა ეოანხმება ამ აზრს. „ლოს-ანჯელეს ტაიმსისათვის“ ლუისის მიერ მოწყობილმა ამასწინანდელმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამერიკელთა 73 პროცენტი მოითხოვს ღარიბთათვის მთავრობის დახმარების გაზრდას. გამოკითხულთა 57 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი მზად არიან ამ მიზნისათვის გადაიხადონ ფედერალური გადასახადი ბრუნვის ერთი პროცენტის ოდენობით.

არცთუ დიდი ხნის წინათ სპეციალისტთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ეროვნულ უმცირესობათა შორის უმუშევრობის მთავარი მიზეზი რასიზმია. მაგრამ პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომისტი ბერნარდ ანდერსონი ამბობს, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ახლა უფრო მნიშვნელოვანი გახდა კლასობრივი ფაქტორი. ამ თეორიის მიხედვით, რასიზმი წარსულში ხელს უშლიდა შავკანიანებს მიეღოთ განათლება და სამუშაო, მაგრამ ახლა მთავარ სირთულეს მათთვის ტრადიციული სიღატაკე წარმოადგენს.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას უმუშევრობა ეროვნულ უმცირესობათა შორის, საჭიროა სამუშაოსათვის მოუმზადებელი ლატაკებისადმი მეტი ყურადღება მათი რასის მიუხედავად. მათ შორის ბევრია თეთრკანიანი, მაგრამ მეტია შავკანიანი, ესპანურენოვანი და აზიელი. მოსალოდნელია, რომ აღწერის ბიუროს მოხსენება, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გამოქვეყნდეს, ცხადყოფს, რომ შავკანიანი ღარიბების წილი ჯერ კიდევ სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე თეთრკანიანებისა. სიღარიბის დონე ესპანურენოვანთა შორის ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე თეთრკანიანთა შორის, ხოლო ლატაკთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს ქალები და ახალგაზრდობა შეადგენენ.

იმასაც ამბობენ, რომ თუ მინიმალური ხელფასის შემცირება დაარწმუნებს კომპანიებს უფრო მეტი ახალგაზრდები მიიღონ სამუშაოდ, ეს სარგებლობას არ მოუტანს ახალგაზრდებს ეროვნულ უმცირესობათა შორის. 70-იანი წლების დამლევს „მენფაუერ დემონსტრეიშნ რისეჩ კორპორეიშნმა“ 2.259 კომპანიას შესთავაზა გადაეხადა ხელფასის 50,75 ან 101 პროცენტი ეროვნული „ლამუშების“ პროგრამის მიხედვით ახალგაზრდებისთვის. „...მიდა კ., რომელსაც კორპორაცია მთელ ხელფასს იხდიდა, კომპანიების მხოლოდ 18 პროცენტი დათანხმდა ახალგაზრდების დაქირავებას. დაახლოებით 82 პროცენტმა საერთოდ უარი თქვა ღარიბი ახალგაზრდების მიღებაზე.

ქრონიკული უმუშევრობის მეორე დიდი ჯგუფია ქალები, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ და რომლებიც ქვეყნის აქტიურ მოსახლეობას წელიწადში 20 მილიარდი დოლარი უჯდება. ბევრი მათგანი მარტოხელა დედა ხდება. ადრეულ ასაკში და არ ძალუძს თავის შენახვა. მათ შორის უმუშევრობის მიზეზად სპეციალისტები ეროვნულ უმცირესობათა ოჯახების დანგრევას ასახელებენ. მაგრამ შესაძლოა ყველაფერი პირიქით ხდებოდეს. ეროვნულ უმცირესობათა მრავალ ახალგაზრდა ქალს არა აქვს მუდმივი სამუშაო. ამის გამო იგრძნობა ახალგაზრდა დედებისათვის კარგი პარტნიორების ნაკლებობა. „ვისზე უნდა გათხოვდნენ ისინი?“, — კითხვას სვამს ვაშინგტონში პოლიტიკურ გამოკვლევათა გაერთიანებული ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ედვინ დორნი.

ოკეანელი ბრენდა ფრიმენი დამხმარე სამუშაოების პროგრამაში 1984 წელს ჩაერთო. მანამდე კი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დახმარებას იღებდა. მას არასრულს ჰქონია მუდმივი სამუშაო. ახლა მას ბავშვების მოვლა ასწავლეს. „მაგრამ როგორც კი დამქირავებლები შეიტყობდნენ, რომ მე დახმარებას ვიღებდი, ისინი ცხვირწინ მიხუროვდნენ კარს“., — ამბობს ფრიმენი, რომელიც ახლა 27 წლისაა, გაუთხოვარია და ჰყავს 12 წლის ქალიშვილი. — „შავკანიან ქალს, რომელიც მთელი ცხოვრება დახმარებას იღებდა და პროფესია არა აქვს, მომავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ასეთმა ქალებმა არაფერი იციან. მთ მხოლოდ მთელი დღე შინ ჯდომა და დიასახლისებისათვის მრავალსერიანი გადაცემების ყურება შეუძლიათ“.

იდეები, რომლებიც უსახლკარო ღარიბებს ეხება, არ შეიძლება გამოსავალი იყოს უმცირესობათა უმუშევარი წარმომადგენლებისათვის. გეტო კვლავაც ამრავლებს სიღატაკეს, დისკრიმინაცია საცხოვრებელი ადგილის არჩევის სფეროში არ აძლევს საშუალებას უმცირესობათა წევრებს გადავიდნენ იქ, სადაც არის სამუშაო. ამავე დროს ერთობლივ ძალისხმევას, რომლის მიზანია არაკვალიფიციური ადამიანებისათვის პროფესიის მიცემა, შეიძლება გარკვეული შედეგი მოჰყვეს. საჭიროა წლები, რათა ეს შედეგები ხელშესახები გახდეს. გადასახადებით დაუძლურებულ და დაქანცულ საზოგადოებას კი არ შეუძლია ამდენი ლოდინი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲣᲘᲙᲘ“:

დავიწყებული ამერიკელები

ობის დახმარების გაზრდას. გამოკითხულთა 57 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი მზად არიან ამ მიზნისათვის გადაიხადონ ფედერალური გადასახადი ბრუნვის ერთი პროცენტის ოდენობით.

არცთუ დიდი ხნის წინათ სპეციალისტთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ეროვნულ უმცირესობათა შორის უმუშევრობის მთავარი მიზეზი რასიზმია. მაგრამ პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომისტი ბერნარდ ანდერსონი ამბობს, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ახლა უფრო მნიშვნელოვანი გახდა კლასობრივი ფაქტორი. ამ თეორიის მიხედვით, რასიზმი წარსულში ხელს უშლიდა შავკანიანს მიეღოთ განათლება და სამუშაო, მაგრამ ახლა მთავარ სირთულეს მათთვის ტრადიციული სიღატაკე წარმოადგენს.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას უმუშევრობა ეროვნულ უმცირესობათა შორის, საჭიროა სამუშაოსათვის მოუმზადებელი ლატაკებისადმი მეტი ყურადღება მათი რასის მიუხედავად. მათ შორის ბევრია თეთრკანიანი, მაგრამ მეტია შავკანიანი, ესპანურენოვანი და აზიელი. მოსალოდნელია, რომ აღწერის ბიუროს მოხსენება, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გამოქვეყნდეს, ცხადყოფს, რომ შავკანიანი ღარიბების წილი ჯერ კიდევ სამჯერ უფრო დიდია, ვიდრე თეთრკანიანებისა. სიღარიბის დონე ესპანურენოვანთა შორის ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე თეთრკანიანთა შორის, ხოლო ლატაკთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს ქალები და ახალგაზრდობა შეადგენენ.

იმასაც ამბობენ, რომ თუ მინიმალური ხელფასის შემცირება დაარწმუნებს კომპანიებს უფრო მეტი ახალგაზრდები მიიღონ სამუშაოდ, ეს სარგებლობას არ მოუტანს ახალგაზრდებს ეროვნულ უმცირესობათა შორის. 70-იანი წლების დამლევს „მენფაუერ დემონსტრეიშნ რისეჩ კორპორეიშნმა“ 2.259 კომპანიას შესთავაზა გადაეხადა ხელფასის 50,75 ან 101 პროცენტი ეროვნული „ლამუშების“ პროგრამის მიხედვით ახალგაზრდებისთვის. „...მიდა კ., რომელსაც კორპორაცია მთელ ხელფასს იხდიდა, კომპანიების მხოლოდ 18 პროცენტი დათანხმდა ახალგაზრდების დაქირავებას. დაახლოებით 82 პროცენტმა საერთოდ უარი თქვა ღარიბი ახალგაზრდების მიღებაზე.

ქრონიკული უმუშევრობის მეორე დიდი ჯგუფია ქალები, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ და რომლებიც ქვეყნის აქტიურ მოსახლეობას წელიწადში 20 მილიარდი დოლარი უჯდება. ბევრი მათგანი მარტოხელა დედა ხდება. ადრეულ ასაკში და არ ძალუძს თავის შენახვა. მათ შორის უმუშევრობის მიზეზად სპეციალისტები ეროვნულ უმცირესობათა ოჯახების დანგრევას ასახელებენ. მაგრამ შესაძლოა ყველაფერი პირიქით ხდებოდეს. ეროვნულ უმცირესობათა მრავალ ახალგაზრდა ქალს არა აქვს მუდმივი სამუშაო. ამის გამო იგრძნობა ახალგაზრდა დედებისათვის კარგი პარტნიორების ნაკლებობა. „ვისზე უნდა გათხოვდნენ ისინი?“, — კითხვას სვამს ვაშინგტონში პოლიტიკურ გამოკვლევათა გაერთიანებული ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ედვინ დორნი.

ოკეანელი ბრენდა ფრიმენი დამხმარე სამუშაოების პროგრამაში 1984 წელს ჩაერთო. მანამდე კი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დახმარებას იღებდა. მას არასრულს ჰქონია მუდმივი სამუშაო. ახლა მას ბავშვების მოვლა ასწავლეს. „მაგრამ როგორც კი დამქირავებლები შეიტყობდნენ, რომ მე დახმარებას ვიღებდი, ისინი ცხვირწინ მიხუროვდნენ კარს“., — ამბობს ფრიმენი, რომელიც ახლა 27 წლისაა, გაუთხოვარია და ჰყავს 12 წლის ქალიშვილი. — „შავკანიან ქალს, რომელიც მთელი ცხოვრება დახმარებას იღებდა და პროფესია არა აქვს, მომავლის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ასეთმა ქალებმა არაფერი იციან. მთ მხოლოდ მთელი დღე შინ ჯდომა და დიასახლისებისათვის მრავალსერიანი გადაცემების ყურება შეუძლიათ“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ.
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას ეროვნული საფუძველიც აქვს

დიდებული მასალა დაუგროვდა კაცობრიობას ლოთობასთან ბრძოლის საქმეში. მთელ რიგ სახელმწიფოებში სიკვდილითაც კი ისჯებოდნენ ლოთები.

ისტორიულად ლოთობის აღსაკვეთად ორი გზა გამოიკვეთა: კანონმდებლობითი და ეროვნული ჩვეულებებითი. ლოთობას კანონმდებლობით ძირითადად ისეთ ქვეყნებში ებრძოდნენ, სადაც აღკოჰოლური სასმელი სამეურნეო ყოფასთან არ იყო დაკავშირებული, იგი სხვა ხალხთაგან „იგეგეს“ და მისი მიღების „გაუკუღმართებული“ წესებიც შეიმუშავეს.

ისეთმა ხალხებმა კი, რომელთა ცხოვრება სისხლხორცეულად იყო გადახასკვული ვაზის კულტურასთან, საუკუნეების განმავლობაში თავად შეიმუშავეს ღვინისა და საერთოდ აღკოჰოლური სასმელების ხმარებასთან დაკავშირებული ჩვეულებანი. ლოთობა ჩვენებრ ხალხნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ უკავშირდება ვაზის კულტურის არსებობას და ამდენად თვითმკვლელობას უფრო ჰგავს გარეგან მიწოდებული მახვილით.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველო ვაზის უპირველეს სამშობლოდ არის აღიარებული. სწორედ ჩვენს მიწაზე მომხდარა ვაზის გაკულტეება, აქ ჩვენს წინაპრებს 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი გამოუყვანიათ, ეს კი იმის მაუწყებელია, რომ საქართველო არა მარტო ვაზის სამშობლოა, არამედ კულტურული მევენახეობის კერაც, ამდენად — ღვინის სამშობლოც.

სპეციალისტები იმასაც კი აღნიშნავენ, რომ ქართული სახელწოდება „ღვინო“ უძველესი პერიოდიდან არის გავრცელებული მსოფლიოში.

ჩვენი წინაპრები ღვინოს წამლად მიიჩნევდნენ, დიდი რაოდენობით სმას კი საწამლავს უდარებდნენ. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა მისი კულტურული მოხმარების წესები. თუ არა ასე, სხვა მტერიც არ იყო საჭირო და ამოდენა ღვინის ქვეყანაში, მხოლოდ მისი მოჭარბებული სმა მოგვიღებდა ბოლოს.

სამწუხაროა, რომ ჩვენში დღემდე ვერ მოხერხდა აღკოჰოლურ სასმელთა მიღების ეროვნული ჩვეულებების შესწავლა. ეს ხომ ის ჩვეულებებია, რომელთა ვაყალბების პროცესი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს.

ახლა, როცა ასეთი სიმწვავით დადგა საკითხი ლოთობის აღსაკვეთად, ჩვენი ვალია დაუყოვნებლივ შევუდგეთ ღვინის და საერთოდ აღკოჰოლურ სასმელთა მოხმარების ეროვნული წესების შესწავლას. ქართული სუფრის, ჭირისა და ლხინის სუფრის მოწყობის, მართვის და იქ ღვინისმოხმარების ხალხური ჩვეულებების მოძიება-გაანალიზებას.

რამდენადმე განსხვავებულად უნდა მივუდგეთ არაყს. სხვას რომ თავი დავანებოთ, არყით სიმთვრალე შეუთავსებელია როგორც ეროვნულ სტუმართმოყვარეობასთან, ისე ქართველი კაცის ტემპერამენტთან.

ამ პატარა შესავლის შემდეგ — მცირედი ექსკურსი საქართველოში მემთვრალეობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან.

როგორც ითქვა, ლოთობა და, საერთოდ, აღკოჰოლურ საშუალებათა მოჭარბებული სმის მავნეობა თითქმის ყველა ხალხშია შენიშნული და ადგილობრივ ვითარებათა შესაბამისად — დაგმობილი.

ლოთობასთან საბრძოლველად ნიადაგ ისმოდა შეგონება: „მემთვრალეთა ვერ დაიმკვიდრონ სასუფეველი ცათა, მემთვრალენი ეკლესიანი ალარ ეგვიან“. ამდენად, ქართული სამართალი ადრდანვე მეტად ორიგინალურ და მართებულ მიდგომას აკეთებს სამართალში ჩადენილი დანაშაულისადმი.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი. ამდენად საინტერესოა, რა ბუნებრივ ნორმირებულიყო შემდგომი პერიოდის კანონმდებლობა, როგორი შეფასება უნდა მისცემოდა ლოთობას?

პასუხს აღნიშნულზე სწორედ რომ XVIII საუკუნის მიწურულში შედგენილი, მაგრამ ქვეყნის ავბედობის გამო ცხოვრებაში დაუნერგავი, კანონთა პროექტები იძლევიან.

დავით ბატონიშვილის კანონთა პროექტით მთვრალი უასაკონი და მეურვეობის ქვეშ მყოფნი შეურაცხადად არიან ცხობილნი და გარდა გამონაკლისისა, სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტადაც ვერ გიხდებიან.

კანონის პროექტი კრძალავს სტუმრისათვის ღვინის დაძალებას. ამ დროს თუ გამოუვიდა მდგომარეობაში მყოფმა სტუმარმა „შეურაცხ-ყოს ვინმე, გინა შემოჰკრას, გინა ჴსცემოს ვისმე, და თვით სანლის პატრონსაცა... მაშინ ნურარა საყვედური მიადგების“.

ასეთი უფლება ეძლევა სტუმარს მაშინ, როცა ქართული სინამდვილე სტუმრმასპინძლობას წმიდათაწმიდად მიიჩნევს და ერთმანეთის უპატივცემლობისათვის ორივე მხარეს მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს.

XVIII საუკუნის მიწურულში უცნობი ავტორის მიერ შედგენილ „სამოქალაქო სჯულვილების“ კანონის პროექტით, „ლოთობისათვის და ბედოვლათისათვის“ ერთნაირი სასჯელია დაწესებული. ლოთი უნდა პატიმარყონ და „ყოველ დილას ერთისტოტიანის ყამშით (ღვედით, მათრახით, შოლტით— მ. კ.). ორ-ორი დაჰკრას ტიტველას ზურგზედ“ და იძულებით ამუშაონ. ხოლო თუ ასეთმა ღონისძიებამაც ვერ გაასწოროს, „ყამშს დავაკვრევინებთ და მადანში სამუშაოდ გავგზავნით სიკუდილამდე“.

მომეტებულად სასმელის მიღების აკრძალვასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი ღონისძიებანი ხორციელდებოდა საქართველოში. მაგალითად, ხევსურეთში (ჯვარში) დღეობის წინ, ვიდრე ლუდის სმა გაიმართებოდა, ავტორიტეტული პირი ხელში დროშით გამოაცხადებდა: ვინც სმთვრალეში ცუდ რაიმეს მოიმოქმედებს, ამა და ამ ოდენობით ჯარიმა გადახდებაო. დამრღვევს უყოყმანოდ უნდა შეესრულებინა დადებული პირობა.

ვაზსა და ღვინოსთან ძველად „სამართლის ქმნაც“ იყო დაკავშირებული, რომლებიც მაგიური ძალითაც იყენენ აღჭურვილნი. ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურდა ისიც, რომ ზემო იმერეთში, დანაშაულში ეჭვმიტანილი ხატზე გადაცემისას, საწყეანარი სიტყვების წარმოთქმისას ხატზე გადაპცემს ღვინით სავსე ჭიქა უნდა სჭეროდა ხელი, უამისოდ გადაცემას ძალა არ ექნებოდა.

როგორც დაკვირვება ადასტურებს, ღვინის ზომიერად სმის წესების დაცვა ოჯახებში უფრო ხერხდებოდა, ვიდრე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. აქ, რა თქმა უნდა, ოჯახის პატივისცემის ტრადიციაც ასრულებს როლს.

ვინც დაჰკვირვებია ვითარებას, შეამჩნევდა, რომ თანამედროვე საფრთან თვითონვე ჩამოიშორა ბევრი შეუსაბამობა. ცხოვრებამ მასშიც შეიტანა კორექტივი. მაგალითად: უფრო და უფრო იკიდებს ფეხს სადილობის საათებში გამართული ლხინის სუფრები. ასევე მომრავლდა „მშრალი ქორწილებიც“, ეს კი ისეთი ქორწილებია, სადაც გამონაკლისის გარდა არც თვრებიან. აქ სუფრის თავი — მთამადაც არ ჭირვეულობს, „გინდათ თუ არა, დალიეთო“.

აურზაურის, ჩხუბის, დაჭრისა და მკვლელობის ავად მოსაგონარი მასობრივი შემთხვევები თანდათანობით ემშვიდობება ქართულ სუფრას.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის ამ საქმეში, ისევ და ისევ, ღვინის მოხმარების ეროვნულ კულტურას, მისი დაცვისა და სრულყოფისათვის საამედო საშუალებას — ეროვნულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს უნდა დაეემყაროთ. ასეთი წეს-ჩვეულებანი კი სხვადასხვა ხალხს სხვადასხვაგვარი შეუმუშავებია, რაც განპირობებული იყო იმით, თუ როგორ სარწმუნოებას მისდევდა იგი, როგორ გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, ან როგორი იყო მათი შრომითი დამოკიდებულება აღკოჰოლის შემცველი კულტურის მოვლა-მოშენებისადმი და სხვა.

ღვინოსთან დაკავშირებით დადგენილი წესების მეცნიერულად შესწავლა საშური და მეტად საჭიროა. როცა ღვინის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი გაირკვევა, შემდეგ შეიძენენ რეკომენდაციები დამაჯერებლობას.

ქართველებს რომ სპეციალური წესები ჰქონიათ შემუშავებული ლხინსა თუ ღვინის სმასთან დაკავშირებით, ამაზე ივ. ჯავახიშვილს მიუთითებია ხელოვნების მუშაკთა სახლში წაკითხულ საჯარო ლექციების ციკლში: „ოჯახის ყოფა-ცხოვრება, პურობის და დარბაზობის წესები“, სადაც დიდ მამულიშვილს აღუნიშნავს: „სადღეგრძელოები და ქეიფი, რომლითაც ქართველები სახელგანთქმულია, მხოლოდ მე-16 საუკუნეში შემოვიდა“. ტრადიციული იყო ვითარების კვალობაზე სადღეგრძელოთა რაოდენობის განსაზღვრაც. მაგალითად, რატომ არ შეიძლება აღვადგინოთ სვანეთში დღემდე დაცული სამი სასმისის კულტი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ თავშეყრა საქმიან სჯაბაასს შეეხება, მიუსხდებიან რა მასპინძლის ტაბლას, მხოლოდ სამ სადღეგრძელს იტყვიან და სამ სასმისს შესვამენ.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე რატომ არ უნდა გაესვას ზაზი სტუმრმასპინძლობის თანმყოლ ისეთ ძველ ჩვეულებას, როგორიცაა მთვრალი სტუმრის ოჯახიდან გაუშვებლობის მოთხოვნა. განა ასეთი წესის ქართული ჩვეულების ქება არ არის ნათქვამი „ვეფხისტყაოსანში?“

„ჯამი და ჭიქა ყველაი,
ფეროზისა და ლალისა.
არვისს ბრძანა მეფემან არცა
გაშვება მთვრალისა“.

ასეთ წესთან შედარებით რაოდენ ამაზრზენად გამოიყურება დღეს ისეთი მოქმედება, როცა ზოგიერთი მასპინძელი მაქმანის საჭესთან მჯდომ მისთვის ვითომ სანატიო სტუმარს აძალებს ღვინოს და ანგარიშს არ უფრავს, როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ „სტუმრმასპინძლობას“.

სიმთვრალის შედეგიც კარგად შეაფასა ქართველმა კაცმა და მეორე დღეს, ნამთვრალეკ კაცს „გატანჯული“ უწოდა: ასეა ეს სიტყვა დღემდე შერჩენილი ხევსურეთში.

მკაცრად უნდა დავიცვათ ქალის მოკრძალება ღვინისადმი და ნასვამთა მოკრძალებული და სათუთი დამოკიდებულება ქალისადმი, სულ ერთია ოჯახში იქნება თუ საზოგადოებაში. ქართული ჩვეულების მიხედვით, ქალთა თანდასწრებით თრობა, უხამსსიტყვაობა და უპატივცემლობა, მიმართული ცალკეული პირისა თუ მთელი საზოგადოებისადმი, დასაგმობ მოქმედებად ითვლება. ასევე დასაგმობი იყო მანდილოსანთან თამბაქოს მოწევა.

ქალების მიერ აღკოჰოლური სასმელის მიღება თუ თამბაქოს გაბოლება ზომ კიდევ უფრო საძრახ და ამაზრზენ თავხედობად მიიჩნეოდა, „თავისუფალი ქალი“ იარლიყს აკრავდნენ მას. ღვინოსა და თამბაქოზე ქალს „მიუშვებლობა“ ქვეყანას უნარჩუნებდა ჯანსაღ დედას, მორალურად მტკიცე ოჯახისა და ქვეყნის დედაბოძს.

როცა ქალი აღკოჰოლიან სასმელებს ეტანება და თამბაქოს ეწევა ეს უპირატესად მოდის აყოლა, მიბაძვაა, როგორც ამბობენ, სნობიზმის გამოვლინებაა. საჯაროდ უნდა ვგმობდეთ ასეთ მოქმედებას.

ვის შეუძლია შეეჯიბროს ქართველი კაცის სიყვარულს ვაზისადმი და რამხელა ირონიაა იმაში, რომ ღვინოს ვაყალებთ. აყალბებენ ყველგან და ყველას თვალწინ თუ ყველას ნებართვით. აქაც ერმა უნდა აღიმაღლოს ხმა.

ვიმეორებთ, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ლოთობას. მაგრამ გავითვალისწინოთ სამართლიანობა — არ მობდეს ისე, რომ ქვეყანამ ვაზი დაკარგოს და ვაზმა — ქვეყანა. სუფრის თავს დავუბრუნოთ მედროვე, ცრუპენტელი „პატრიოტთა“ მიერ გასაწირავად განდევნილი ვაზისა და ღვინის დამცველი, ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები.

მ. კეკელია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე.

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

15 იანვარს აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების წინასწარმოხაზულ ნებისმიერ თეორიულ მოდელში. სოციალიზმის მშენებლობის უკანასკნელი წლების პრაქტიკამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების სახალხო მეურნეობაში დანერგვის ამ 50-ოდე წლის წინათ შემოღებული ფორმები და მეთოდები სადღეისოდ ეკონომიკური განვითარების კოსერვატიულ ფაქტორებად გადაიქცა.

60-იან წლებში ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სვერდლოვსკში შეიქმნა მეცნიერების წარმოებასთან ორგანული კავშირისათვის გამიზნული

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება: აწმყო და მომავალი

პრაქტიკის გაკვეთილები

თავის წერილებსა და სტატიებში ვ. ი. ლენინს არაერთგზის მიუთითებია, რომ სოციალიზმი — ეს, უპირველეს ყოვლისა, „ყოველდღიური ცოცხალი პრაქტიკის შედეგია, ვიდრე გონებისა და აზრის ნაყოფი“. დიახ, პრიორიტეტი სინამდვილის აღქმასა და გაანალიზებაში მიანიჭ პრაქტიკას, — ეს მეშარიტების ამ უნივერსალურ საზომს უნდა ეკუთვნოდეს. მას თავისი კორექტივები შეაქვს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების წინასწარმოხაზულ ნებისმიერ თეორიულ მოდელში. სოციალიზმის მშენებლობის უკანასკნელი წლების პრაქტიკამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების სახალხო მეურნეობაში დანერგვის ამ 50-ოდე წლის წინათ შემოღებული ფორმები და მეთოდები სადღეისოდ ეკონომიკური განვითარების კოსერვატიულ ფაქტორებად გადაიქცა.

60-იან წლებში ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სვერდლოვსკში შეიქმნა მეცნიერების წარმოებასთან ორგანული კავშირისათვის გამიზნული პირველი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი. პრაქტიკამ დაადასტურა ამ ფორმის გაერთიანებათა ეფექტიანობა და სიცოცხლისუნარიანობა: თითქმის სანახევროდ შემცირდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვის ვადები, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერების ფონდუტუგება და შრომის ნაყოფიერება, გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ცალკეულ საწარმოთა ეკონომიკური რენტაბელობა.

მაგრამ ამასთან ერთად პრაქტიკამ ცხადყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ბევრი პრინციპული მნიშვნელობის ორგანიზაციული ნაკლოვ. მიუხედავად უდავო წარმატებებისა და თითქმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის პოზიტიური ცვლილებისა, გაერთიანებები ხშირად მაინც ვერ აკმაყოფილებენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე მოთხოვნებს ამ რევოლუციის ყველაზე გადამწყვეტ — დანერგვის სფეროში. საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში ახალი პროდუქციის სერიული გამოშვება, სულ ცოტა, ორჯერ მაინც ჩამორჩება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მთლიან ციკლს.

ჩვენ ადრეც მივუთითეთ გაერთიანებათა ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ზოგიერთ პრინციპულ ნაკლზე (გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ. 18. IV). გაერთიანებათა ხელმძღვანელობასთან ერთად მოწყობილმა სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებმა გვიჩვენა, რომ მათგან ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად, რაც უნდა პარადოქსულად ეღერდეს ეს, ამ გაერთიანებათა ორი მთავარი პარტნიორის — მეცნიერებისა და წარმოების სტრუქტურული და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის „ფირფიტა გამოუშვა ფირმა „მელოდიამ“.

— ფირფიტა ხელოვნების მოყვარულთ დიდ სიხარულს მიანიჭებს, — თქვა . საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნოდარ მამისაშვილმა. — ნაწარმოებთა ნუსხაში ისინი შეხვდებიან არა მარტო ცნობილი ავტორების, არამედ ნიჭიერი ახალგაზრდების სახელებსაც.

ამ „ჟღერადი ანთოლოგიის“ თავისებური მუსიკალური ეპიგრაფია სულხან ცინცაძის „სადღესასწაულო უვერტიურა „ინტერნაციონალის“ თემაზე. მსმენელები გაეცნობიან ოთარ თაქთაქმვილის უვერტიურას, რომელიც ეძღვნება ყველაზე ამაღელვებელ თემას — ქვეყნად მშვიდობის დაცვას. ამ თემას ეძღვნება შოთა მილორავას კანტატაც, რომელიც ბავშვების შესრულებითაა ჩაწერილი. „გმირები“ — ასე ეწოდება გურამ ბზვანელის კანტატას, რომელიც ხოტბას ასხამს საბჭოთა ხალხის დიად გმირობას დიდ სამამულო ომის წლებში. საბჭოთა **სამშობლოს** ადიდებენ ბიძინა კვერნაძისა და ნოდარ მამისაშვილს „საზეიმო უვერტიურები“, ვაჟა აზარაშვილისა და მამია ხატელიშვილის სიმღერები... ხალხის იდეალებისათვის მებრძოლი კომუნისტის სახე აღბეჭდა გიორგი ცაბაძემ თავის სიმღერა-კანტატაში.

რა თქმა უნდა, ამ გრამფირფიტაზე არ არის ჩაწერილი ქართველ კომპოზიტორთა ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც მომავალ ღირსშესანიშნავ მოვლენებს მიეძღვნა. ახალი ნაწარმოებები შესრულდა თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გამართულ კონცერტებზე. მსმენელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით წარდგა კომპოზიტორი ალექსანდრე შავერზაშვილი თავის საავტორო საღამოზე, რომელზეც გაისმა აგრეთვე ახალი ორატორიული ნაწარმოებები. უკვდავებისა და ბედნიერ დამპყრობლებისგან — საბჭოთა ბიწა-წყლის ადამიანთა ადიდებელი.

— „ამაკოცა“ — ამბობენ: ბიძინა კვერნაძის „უვერტიურისა“, ირაკლი გეჯაძის ორატორიისა, სულხან ნასიძის „საშემოდგომო მუსიკისა“ — კონცერტისა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. შემოქმედებითი მიღწევებით გახარეს მსმენელები ანდრია ბალანჩივაძემ, ალექსი მაჭავარიანმა, გია ყანჩელმა.

— ჩვენი დრო, — თქვა საუბრის დასასრულს ნოდარ მამისაშვილმა, — მოითხოვს თემების ნოვატორულ ძიებას, ინიციატივას, შემართებას, საკუთარი შემოქმედებისათვის, საზოგადოების საქმეებისათვის გადიდებულ პირად პასუხისმგებლობას.

ამ აზრებით ეგებებიან პარტიის ფორუმებს ქართველი კომპოზიტორები.



ფინასაყრილობო სიახლენი

„სამეცნიერო“ და „გამარჯვება“

მინისა და ბეტონის თანამედროვე შენობა აღიმართა საქართველოს დედაქალაქის ლენინის ქუჩაზე. აქ განლაგდება გ. შ. მიქელაძის სახელობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა.

საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა — პროექტის ავტორმა გ. ბიჭიაშვილმა და არქიტექტორმა ბ. სუმბაძემ — გაითვალისწინეს 1,5 მილიონი ტომისათვის გაკუთვნილი წიგნსაცავი, სამი 500-ადგილიანი დარბაზი სინქრონული თარგმნისათვის (4 ენაზე) განკუთვნილი აპარატურითურთ, საკითხველო და მცირე დარბაზები, რომლებშიც 350 მკითხველის ადგილია.

• • •

ფესანიშნავი კინოთეატრი გადასცეს საჩუქრად მშენებლებმა ბორელ მშრომელებს.

ახალ კინოთეატრში, რომელსაც ორი დიდი დარბაზი აქვს, დამონტაჟებულია ჩეხოსლოვაკიური საპროექციო აპარატურა. კინდიციონერები და სხვა სათანადო დანადგარები უზრუნველყოფენ დარბაზში ხელსაყრელ მიკროკლიმატს.

სურათებზე: სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა და ახალი კინოთეატრი „გამარჯვება“.

გ. კიკვაძისა და თ. ნაფიშვილის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ყაბალი

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. რონკეტის თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირში ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ნოვოსიბირსკის „დინამოს“ ქალთა გუნდმა. ამჯერად დინამოელებმა სოფიაში ადგილობრივი „ლოკომოტივი“ დაამარცხეს (80:64) და ვადამდე ნახევარფინალში თამაშის საგზურს დაეუფლნენ. ასევე დაუმარცხებლად განაგრძობს პირველობისათვის ბრძოლას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კაუნასის „ყალგირისის“ ვაჟთა გუნდი. ექვს უძლეველს კონკურენტს შორის მოასპარეზე „ყალგირისმა“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა — მორიგი მატჩი ბრიუსელში მოუგო თელ-ავივის „მაკაბის“ (94:77).

ჭადლეოსნობა. იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე კანადელმა ბ. ჯონსონმა 60 მეტრი 6,50 წამში გაიარბინა. მან 0,04 წამით გაუსწორებია ხ. მაკ-კირის (აშშ) აღრინდელი მსოფლიო რეკორდი. გთავაზობთ ამ შეჯიბრების კიდევ რამდენიმე შედეგს: **ვაჟები.** სიმაღლეზე ხტომაში უძლიერესი იყო ჯ. ჰოვარდი (აშშ) — 230 სმ, სიგრძეზე ხტომაში — ლ. მირიქსი (აშშ) — 822 სმ. სამხტომაში — ჩ. სიმპკინი (აშშ) — 17,10 მ; **ქალები.** 60 მეტრზე თარჯიმნებში გაიმარჯვა გ. ნანმა (ავსტრალია) — 8,25 წამი, სიმაღლეზე ხტომაში — ვ. ბრაუნმა (ავსტრალია) — 191 სმ, სიგრძეზე ხტომაში — ვ. იონესკუმ (რუმინეთი) — 676 სმ.

ჩოგბურთი. ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში დიდი საერთაშორისო შეჯიბრება სენსაციით დაიწყო. უკვე პირველ წრეში 24 წლის ბ. ჯილბერტმა (აშშ) დაამარცხა სახელგანთქმული თანამემამულე ჯ. მაკინროი — 5:7, 6:4, 6:1. ავსტრალიის ღია პირველობაში გამარჯვებულმა ს. ედბერგმა კი წაგო შეხვედრა ნაკლებად ცნობილ ი. კრიკთან (აშშ) — 2:6, 6:4, 2:6. უიმბლდონის ჩემპიონმა ბ. ბეკერმა (გფრ) დაამარცხა პ. ანაკონე (აშშ) — 3:6, 6:3, 6:2, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ი. ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) — თანამემამულე ტ. შმიდი — 6:1, 6:0.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ქომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-05-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარკსის ტულენინური თეორიის პროპაგანდის — 98-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 98-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზრეველთა წერილების — 99-73-24, ილustრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-38-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 28-66; ტყიბული — 25-32.

ეროვნული ფეხბურთი

17 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — საკონცერტო დარბაზში არიან მოსწავლეები. 10.20 — მხატვრული ტელეფილმი „ივანე ბაბუშკინი“. III სერია. 11.25 — „გიმღვნი სიმღერას“. 12.00 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ადამიანი და ბუნება. დოკუმენტური ფილმები. 16.35 — რუსული მეტყველება. 17.05 — ახალი ამბები. 17.10 — „ერმიტაჟი. ერმიტაჟის შენობები“. 17.40 — ხალხურ საკრავთა ორკესტრების კონცერტი. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი ბავშვებისათვის. 19.30 — „ახალი მიჯნებისაკენ“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — პრობლემები — ძიებანი — გადაწყვეტანი. 20.45 — ახალი ამბები. 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „ივანე ბაბუშკინი“. IV სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „აბა, თქვენ იცით, ქალიშვილებო!“ 0.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — ფილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. IV კლასი. 10.05 და 13.05 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.35 — ფიზიკა. VIII კლასი. 12.05 — — მ. დუდინის პოეზია. 13.35 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „სამსახურებრივი რომანი“. I და II სერია. 16.15 და 19.00 ახალი ამბები. 19.15 — „ყველასათვის და თითოეულისათვის“. 19.45 — ჰოკეი. ცსკა — „სპარტაკი“. შესვენებისას — 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „სათავგადასავლო ფილმის ეკრანი“. „სიღარიბის მოწმობა“. 23.45 — ახალი ამბები.

ჩვენს ტელეეკრანებზე

17 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.30 — მოამბე. 10.00 — დოკუმენტური ფილმი „ივანე კოზლოვსკი“. 11.00 — ქართული მარიონეტული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კოჭრის ტყის სიზმრები“. 11.30 — კონცერტი „თქვენი თხოვნით!“ (გამომეორებით). 12.50 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკის ტელეკურსი. 13.20 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შეავსწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „რევოლუცია უფლებას გვაძლევს“. 17.40 — მოსწავლეთათვის — „მეგობრობის მერიდიანზე“. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — განეხადებები. 18.40 — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად — „მეგობრობის გამოცდილება“. ლვოვის ტელევიზიის გადაცემა. 19.15 — ახალგაზრდობისათვის — „შუქნიშანი“. 19.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად — „დიალოგი ყრილობის დელეგატთან“. 20.50 — მხატვრული ფილმი „წყალში ფოს გასვლისას ცხენებს არავინ ცვლის“. II სერია. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.55 — საახალწლო გასართობი პროგრამა (განმეორებით).

მეორე პროგრამა. 16.45 — მხატვრული ფილმი „სამი კაკალი კონკიასათვის“. 18.10 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა.

თეატრი

17 იანვარი

აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქუთაისურთა ფანდები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — საბრალდებო დასკვნა; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები; მოზარდ მაყურებელთა ქართული — იაფნანამ რა ჰქმნა (აბონ. № 13 დასაწყ. 12 ს.; 2 ს. აბონიმენტის გარეშე).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07218 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. გაგზავნილია სტამბიდან 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14